განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება
ბიზნესის ადმინისტრირება
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2018 წლის 10 ივლისი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების დასახელება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი:	200002120
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	**ბიზნესის ადმინისტრირება**
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებული კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. პანდელის იპსილანდისი თესალის თეი, საბერძნეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფესორი ნინო ზარნაძე კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დოქტორი ნინო დგვეფაძე, Brandor Consulting, დამსაქმებელი ექსპერტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ოთარ ქირია, სტუდენტი ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა შემოთავაზებულია გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის (თბილისი) ბიზნესის და მენეჯმენტის ფაკულტეტის მიერ. სკოლა სთავაზობს აკადემიურ პროგრამებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს უმაღლესი განათლების სამივე ციკლისათვის (საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო) ევროკავშირის ბოლონიის პროცესთან შესაბამისობაში. ჯერ-ჯერობით პროგრამას მინიჭებული აქვს 6 დოქტორის ხარისხი, თანაც 9 სტუდენტი ამჟამად სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე. დაწყების შემდეგ პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი განვითარება. 2016 წელს უნივერსიტეტი მიღებულ იქნა ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტის კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის (MOC) აფილირებულ ქსელში . ამ თანამშრომლობის ფარგლებში ჩატარებული აქტივობები მნიშვნელოვნად ზრდიან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პოტენციალს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა სამშაბათს, 10 ივლისს. ვიზიტამდე ექსპერტთა საბჭომ მიიღო თვითშაფასების ანგარიში (SER), პროგრამის აღწერის დოკუმენტი თანდართული პროგრამის ყველა კომპონენტის დეტალური სილაბუსით, დოკუმენტებით საუნივერსიტეტო მომსახურებების შესახებ, აკადემიური პერსონალის შესახებ CV-ები და დოკუმენტაცია და სხვ.

ვიზიტის პროცესში, ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა შეხვედროდა და გასაუბრებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის მართვის გუნდს, თვითშეფასების სამუშაო ჯგუფს, პროფესორ-მასწავლებლებს (როგორც აფილირებულ წევრებს, ისე მოწვეულებს), პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, ასევე, დამსაქმებელთა წარმომადგენლებს. ყველა მონაწილე მზად იყო თანამშრომლობისა და დისკუსიებში ღიად და გულახდილად მონაწილეობისათვის. ჯგუფის მოთხოვნები დამატებითი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე ვიზიტის პერიოდში დაკმაყოფილდა პროფესიულად და ეფექტიანად.

ექსპერტთა ჯგუფს სურს გულითადი მადლობა გადაუხადოს ყველას თანამშრომლობისა და ნაყოფიერ დისკუსიებში მონაწილეობისათვის.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა**

ბიზნესის ადმინისტრირებაში სადოქტორო პროგრამის მიზნები ემთხვევა გრუნი-ს მისიას. მისი ძირითადი ამოცანაა მოამზადოს მკვლევარების ახალი თაობა, რომელიც შეძლებს ახალი ცოდნის შექმნას, კვლევების მართვას, მის გამოყენებას რეალურ ცხოვრებაში და მის გადაცემას საუნივერსიტეტო დონის სწავლებით. პროგრამის სწავლის შედეგები ზოგადად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, მაგრამ გადმოცემულია ზედმეტად დეტალური გზით. ისინი უნდა იქნენ შეჯამებული ყოვლისმომცველ სწავლის შედეგებში, რომლებიც, საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, არ უნდა აღემატებოდეს ათეულს.

პროგრამის უწყვეტი განვითარების კუთხით, ბოლო რამოდენიმე წელიწადში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, რაც გულისხმობს აფილირებული აკადემიური პერსონალის დაარსებას, ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესებას, მათ შორის ჰარვარდის ბიზნესის სკოლასთან ასოცირებას, კურიკულუმის რესტრუქტურირებას, რამაც ნამდვილად გააძლიერა პროგრამის პროფილი. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა

მიიღებს დიდ სარგებელს მისი დაკავშირებით კვლევით პროექტებთან, რომელთა მოზიდვაც შეუძლია უნივერსიტეტს, ამასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გააქტიურებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციული გუნდმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს საინტერესო იდეა პროგრამის შემდგომი განვითარების თაობაზე და ამ მიმართულებით დაწყებული გარკვეული ქმედებები. უნივერსიტეტის ახლად დაარსებული კვლევითი ცენტრი, ასევე, მოსალოდნელია, რომ ითამაშებს მნიშვნელოვან როლს ამგვარი აქტივიბების დახმარებაში. სოციალურ პარტნიორებს, ასევე, შეუძლიათ წვლილის შეტანა ამ ძალისხმევაში (იხილე სექციები 1.5 და 5.2).

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია ECTS სისტემის შესაბამისად მესამე ციკლის პროგრამებისათვის და შედგება 180 ECTS კრედიტის ოდენობის მთლიანი დატვირთვისაგან, რომელიც ორ მოდულადაა გაყოფილი. პირველი მოდული (60 კრედიტი, 1 და 2 სემესტრები) მიზნად ისახავს კვლევითი სამუშაოს განსახორციელებელი უნარებისა და ცოდნის გადაცემისათვის სტუდენტების შესაძლებლობების განვითარებას. მეორე მოდული (120 კრედიტი, სემესტრები 3-6), რომელიც მოიცავს სადოქტორო დისერტაციის მომზადებასა და დაცვას, სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ კვლევის დასრულების წერტილის მიღწევამდე სტუდენტები თანდათანობით გადიან რამდენიმე კონკრეტულ ეტაპს. პროგრამის კომპონენტები უზრუნველყოფენ ცოდნის შეძენას სფეროში არსებული მდგომარეობის, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების შესაძლებლობებისა და რეფერირებული პუბლიკაციისათვის საჭირო სტანდარტების დონეზე ახალი ცოდნის შექმნის თაობაზე. მართალია საერთო ჯამში წლიური კრედიტების განაწილება დაბალანსებულია, მაგრამ პირველი ორი სემესტრის განმავლობაში კრედიტების ინდიკატური განაწილება არ არის დაბალანსებული.

მოცემული პროგრამა აძლევს მის კურსდამთავრებულებს მათი ქვედარგის სათანადო მოწინავე თეორიულ ცოდნას, ანალიტიკურ უნარებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მათ აწარმოონ დამოუკიდებელი კვლევა და პრაქტიკულად დანერგონ მისი შედეგები, კომუნიკაციურ და სოციალურ უნარებს ცოდნის გადასაცემად და ღირებულებებს პროფესიონალურად მოქმედებისათვის. საერთო ჯამში, პროგრამა ამართლებს მის მიზანს მეცნიერ-ანალიტიკოსთა ახალი თაობის მომზადებაში, რომელთაც შეეძლებათ მაღალი დონის სამეცნიერო, აკადემიური და მენეჯერული იერარქიის მიღწევა. პროგრამის ხარისხი შესაძლებელია გაუმჯობესდეს კანდიდატების მიერ პროგრამის კვლევითი ნაწილის განმავლობაში მომზადებული სამეცნიერო ნაშრომის პუბლიკაციის სტანდარტის დადგენით (მაგ. მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალების სიის და კონფერენციების ჩამონათვალის დამტკიცებით, სადაც სტუდენტებმა უნდა გამამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომი) და დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ზეგავლენის მონიტორინგით (პუბლიკაციების მოცულობა, კვლევის ჯილდოები, ძირითადი წვლილი, ციტირება და ა.შ.).

პროგრამის მცირე ზომისა და მისი სპეციალური, როგორც სადოქტორო პროგრამის, საჭიროებების გამო, არაფორმალური კომუნიკაციები ეფექტიანია და კარგად მუშაობს პროგრამის შემუშავებაში. თუმცა, კურსდამთავრებულები და სოციალური პარტნიორები შესაძლოა იყვნენ უფრო აქტიურად ჩართულნი პროგრამის შემუშავებაში სამოქალაქო და სოციალური განვითარებისათვის გამოყენებითი კვლევის ფარგლების პორტფოლიოს შექმნით, რითაც გააუმჯობესებდა მის, როგორც საზოგადოებაში ცვლილებების ძლიერი აგენტის, პროფილს.

პროგრამის სწავლებისა და კვლევის ნაწილი კარგადაა ორგანიზებული. დაშვების კრიტერიუმები ნათელია, თუმცა კანდიდატებისთვის, რომელთაც არაა აქვთ ბიზნესის ადმინისტრირებაში ან ეკონომიკაში პირველი ან მეორე ხარისხი, შესაძლოა საჭიროა გახდეს დამატებითი პროგრამის წინა კურსები. ხელმძღვანელის შერჩევა ხდება კვლევის კონკრეტული თემის შესაბამისად. თუ არსებულ აკადემიურ პერსონალში არაა სპეციფიკური

გამოცდილება, უნივერსიტეტი იწვევს შესაფერისი გამოცდილების მქონე აკადემიურ პერსონალს პროგრამაში მონაწილეობისათვის. რადგან განსახილველი პროგრამა სადოქტორო, იგი მოიცავს უამრავ ინდივიდუალურ მუშაობას სტუდენტთან. თითოეულ აკადემიურ პერსონალს შეუძლია უხელმძღვანელოს 5-მდე სტუდენტს (ამჟამად აკადემიური პერსონალი ხელმძღვანელობს 1 ან 2 სტუდენტს). სტუდენტები იღებენ სათანადო მხარდაჭერას მათი კვლევითი სამუშაოს მოსამზადებელი ფაზის განმავლობაში. მათი ხელმძღვანელთან და პროგრამის ადმინისტრაციასთან კონსულტირებით, მათ შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული სფეროს სპეციფიკური გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, ინდივიდუალურ დონეზე ბლოკ-სემინარების ჩასატარებლად. ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტებთან არ შემოიფარგლება დისერტაციის ხელმძღვანელობით; ორი ბლოკ-სემინარი და შერჩევითი სასწავლო კურსი მიეწოდებათ სტუდენტებს ინდივიდუალურ საფუძველზე. ინდივიდუალური მუშაობა სასწავლო საგნებში იწყება არაფორმალურად ან გამოქვეყნებული კონსულტაციების ცხრილის შესაბამისი საკონსულტაციო საათების მსვლელობაში.

სტუდენტების ჩართულობა კვლევაში ძირითადად წარმოებს მათი სადოქტორო დისერტაციის ჩარჩოებში. ზოგიერთი სტუდენტი, ასევე, ჩართულია სხვა კვლევით პროექტებშიც, რომელთაც აწარმოებს აკადემიური პერსონალი. პროგრამა ჯერ კიდევ არაა ძლიერი ეროვნული თუ საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების მოპოვებაში. პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან დისკუსიებმა გამოავლინა, რომ ამჟამად ამ მიმართულებით მეტი აქტივობა ხორციელდება.

პროგრამა ერაზმუსის ჩარჩოებში, დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა რომ განავითარონ სამეცნიერო კვლევითი ან აკადემიური კომუნიკაციური უნარები პარტნიორ უნივერსიტეტებში. ჰარვარდის ბიზნესის სკოლასთან თანამშრომლობა აძლევს დოქტორანტებს შესაძლებლობას დაესწრონ ყოველწლიურ ვოქშოფებს ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტში. პროგრამის შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე, აქვს ჰარვარდის ბიზნესის სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების მიწოდების მიზნებს. თანამედროვე, კომფორტული კამპუსი, სწავლებისა და სწავლის ეფექტურად მისაწოდებლად შექმნილი, უზრუნველყოფს სასიამოვნო გარემოს სტუდენტებისათვის, რათა ხელი შეუწყოს მათი სწავლის შედეგების მიღწევაში.

აფილირებული და მოწვეული პერსონალის ნაკრები ქმნის პროგრამის სტაბილურობისა და მოქნილობის სწორ ბალანსს. გარდა ამისა, სპეციალიზაციის სფეროები ავსებენ ერთმანეთს, რადგან აფილირებული პერსონალის უმეტესობის გამოცდილება ფოკუსირებულია ეკონომიკის სფეროზე, ხოლო მოწვეულთა უმეტესობისა - მენეჯმენტის სფეროზე. საერთო ჯამში, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს აქვთ საჭირო კომპეტენციები პროგრამის განსხვავებული კომპონენტების მისაწოდებლად იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დასახული სწავლის შედეგების მიღწევა. ვინაიდან სფეროში ახალი ცოდნის შექმნა დომინირებს ინგლისურ ებაზე შესრულებული შრომებით და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესში ძირითადი მოთხოვნაა გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია, პროგრამამ უნდა მიაქციოს ყურადღება ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესებას აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში.

პროგრამას ჰყავს ძლიერი ხელმძღვანელობა და მის განხოციელებას ხელს უწყობს კარგად ორგანიზებული ადმინისტრაციული სამსახურები, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური ადმინისტარციული და დამხმარე პერსონალით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ფლობს ნაბეჭდ და ელექტრონულ რესურსებს, ისევე, როგორც სხვა სასწავლო მასალას, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის ხელმისაწვდომობას. ლექტორები აწვდიან დამატებით რესურსებს, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. სასწავლო მასალა უახლესია. ლექტორები სისტემატურად ატვირთავენ სასწავლო რესურსებს, შესაბამის სლაიდებს, შენიშვნებს, ჰენდაუთებს, ტესტების ბანკებს და საშინაო დავალებებს უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლის პლატფორმაზე. პროგრამის მონიტორინგი მოიცავს პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული სასწავლო რესურსების მიმოხილვასა და განახლებას, საჭიროების შემთხვევაში. პროგრამის განვითარების სტრატეგია მოიცავს სასწავლო მასალის გაფართოებასა და გამდიდრებას.

პროგრამა ფინანსურად მდგრადია. ბიუჯეტი იძლევა მისი განვითარების საშუალებას საჭირო რესურსების დაფინანსებით, პერსონალის რეკრუტირებითა და დაქირავებით, პერსონალის ტრენინგით, გაცვლითი პროექტების განხორციელებითა და პროგრამის ოპერირებასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების უზრუნველყოფით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესს, აკადემიური პროგრამის შეფასებას, ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის პროფესიული დონის შეფასებას, მათი პერსონალური განვითარების გეგმის შესაბამისად. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ ციკლზე. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისას უნივეერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის პერსონალთან ერთად მუშაობს პროგრამის სუსტი მხარეების გამოსავლენად და შეფასების შედეგების შესაბამისად ანხორციელებს მის გაუმჯობესებას. კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობა სასწავლო პროგრამის გასაუმჯობესებელ მიმოხილვაში უნდა იქნეს ფორმალიზებული და გაუმჯობესებული. სასწავლო პროგრამაში სოციალურ პარტნიორთა ჩართულობა სასურველია პრო-აქტიური მიდგომის უზრუნველსაყოფად სოციალურ პარტნიორთათვის საინტერესო საგნების განსაზღვრისათვის და სამაგისტრო პროგრამის ბოლო ეტაპზე სავარაუდო საუკეთესო კანდიდატთა მოზიდვის პროცესის დასაწყებად.

- **რეკომენდაციები**

უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები.

განახორციელეთ სასწავლო გეგმის რესტრუქტურიზაცია ისე, რომ ტიპიური სემესტრი მოიცავდეს 30 ECTS დატვირთვას.

დადგინდეს მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალების ნუსხა (ქართული და საერთაშორისო) ან სხვა საშუალებები (მაგ. კონფერენციები და სხვ.) და მოეთხოვოს სტუდენტებს მათი სამეცნიერო ნაშრომის იმ ეტაპისთვის არსებული შედეგების ამ ჟურნლებში გამოქვეყნება.

აქტიურად ჩართეთ დაინტერესებული მხარეები პროგრამის შემუშავებაში, განსაკუთრებით კვლევითი კლასტერის შემუშავებისას.

სასწავლო პროგრამაში დამსაქმებელთა რეალური ჩართულობის უზრუნველსაყოფად სასურველია პრო-აქტიური მიდგომა სოციალური პარტნიორებისათვის საინტერესო საგნების ერთობლივად განსასაზღვრად და სამაგისტრო პროგრამის ბოლო ეტაპზე სავარაუდო საუკეთესო კანდიდატთა მოზიდვის პროცესის დასაწყებად. ეს დააინტერესებს მაგისტრანტებს საგნების იმ თემებით, რომლებიც აინტერესებთ სოციალურ პარტნიორებს და გამოიწვევს სასწავლო თემებს სადოქტორო დონეზე შემდგომი კვლევის აქტუალიზაციას.

მოახდინეთ ეროვნული ან საერთაშორისო წყაროების მიერ ფინანსირებული კვლევითი პროექტების პროგრამაში მოზიდვის ძალისხმევის ინტენსიფიცირება. ფოკუსირებული კვლების სფეროების დასადგენად ითანამშრომლეთ სოციალურ პარტნიორებთან. განიხილეთ საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების ჩატარების შესაძლებლობები. განიხილეთ ინტერდისციპლინური კვლევის ჩატარების შესაძლებლობა უნივერსიტეტის შიგნით.

გაზარდეთ აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის დახმარება მათი ინგლისური ენის უნარების მუდმივი ამაღლებით. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს პერსონალის გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო იმპერატიულია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისათის, ვინაიდან უახლესი ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ინგლისურ ენაზეა.

განაახლეთ ბიბლიოთეკა მეტი ონ-ლაინ რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, როგორიცაა მაგალითად EBSCO და სხვა გლობალური არქივები.

პროგრამის მუდმივი სრულყოფისათვის რეკომენდებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის, მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, თუ რა სახის კვლევები უნდა ჩატარდეს, რა კვლევის მეთოდები იქნეს გამოყენებული, რა პერიოდულობით და ა.შ.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

იმუშავეთ სისტემატურად და მოახდინეთ ძალისხმევის ინტენსიფიცირება. რათა დაუკავშიროთ სადოქტორო პროგრამა კვლევით პროექტს ან კვლევით ცენტრს.

შემოიღეთ და დაამკვიდრეთ პროგრამის კურსდამთავრებულთა მონიტორინგის სისტემა სამეცნიერო შედეგების რეგისტრირებისათვის.

განიხილეთ კურსებამდე ლექციების შემოღების საკითხი სტუდენტებისათვის, რომელთაც არა აქვთ მენეჯმენტის/ეკონომიკის გამოცდილება.

შემოიღეთ გარე აკადემიური პერსონალის (უნივერსიტეტთან არა აფილირებული) მონაწილეობა საატესტაციო ექსპერტთა კომიტეტში წევრებად.

მოახდინეთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ინტენციფიცირება ინსტიტუციის უპირატესობების გამოყენებით: მცირე ზომა, კარგი ორგანიზებულობა, მიზანდასახული ხელმძღვანელობა, მოქნილობა და ეფექტიანობა. შეიმუშავეთ სტრატეგიული გეგმა სპეციალური აქტივობებითა და სამიზნეებით. აქტივობები, როგორიცაა საერთაშორისო სადოქტორო გამოცდილების მქონე პერსონალის მოწვევა, მეტი საერთაშორისო პროფესორების მოწვევას შეუძლია განავითაროს პროგრამის საერთაშორისო პროფილი.

შემოიღეთ პრაქტიკა, რომ აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა წარმოადგინონ ყოველწლიური პერსონალური განვითარების გეგმა 3-წლიანი პერიოდისათვის, რომელიც მოიცავს სპეციფიკურ და გაზომვად ქმედებებს გამიზნულ კვლევით აქტივობებთან, სწავლებასთან, ტრენინგის საჭიროებებთან და ქმედებებთან, საერთაშორისო გაცვლით აქტივობებთან დაკავშირებით და სხვ. გეგმა შესაძლებელია განხილულ იქნეს ადამიანური რესურსების, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან; მისი რეალიზაცია შესაძლოა გათვალისწინებულ იქნეს წლიური შეფასებების დროს.

უზრუნველყავით პერსონალის წახალისება, რათა დაფინანსებულ კვლევით წინადადებებზე იმუშაონ ინდივიდუალურად ან გუნდურად.

საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის სისტემატური მონიტორინგი (მაგ. დაშვების სტატისტიკა და სხვ.), რათა მოცემული პროგრამისათვის განისაზღვროს მასალების გაუმჯობესებისა და განახლების საჭიროება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

მტკიცე თანამშრომლობის დამყარება ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლასთან მიღებით სტრატეგიია და კონკურენტულობის ინსტიტუტის კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკის (MOC) აფილირებულ ქსელში.

უნივერსიტეტის მიერ ფინანსური დახმარების გაწევა ჰარვარდის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით წასული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის (გრუნი) მისია, როგორც ეს საჯაროდაა განცხადებული, არის „დავიცვათ და განვავითაროთ საკაცობრიო ცოდნა, შევქმნათ ახალი და გავაზიაროთ მეცნიერების განვითარების ხელშეწყობისა და საზოგადოების ინტელექტუალიზაციისათვის. საგანმანათლებლო ფუნქცია განვახორციელოთ სტუდენტის ინტერესებსა და სწავლის შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობით, რითაც შევქმნით ნიჭიერ და მოტივირებულ სტუდენტურ კლასტერს, რომელიც ჩამოყალიბდება კონკურენტუნარიან სპეციალისტთა თაობად, შეძლებს ინტეგრირებას საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზრებზე, აიღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის მომავალზე“. ბიზნესის ადმინისტრირებაში სადოქტორო პროგრამის მიზნები ემთხვევა გრუნი-ს მისიას იმ გაგებით, რომ პროგრამის ძირითადი მიზნებია მკვლევართა ახალი თაობის მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ ახალი ცოდნის შექმნა, კვლევის მართვა და ექნებათ მათი რეალურ ცხოვრებაში გამოყენების უნარი, ისევე, როგორც მისი გადაცემის უნარი უნივერსიტეტის დონის სწავლებით. პროგრამის ორიენტაცია შეესაბამება ლისაბონის დეკლარაციას, რადგან პრინციპში იგი მიისწრაფის იმისაკენ, რომ უფრო მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კურსდამთავრებულთა კარიერასთან კვლევებსა და განვითარებაში. კონკრეტულად პროგრამის მიზნები ნათლადაა განსაზღვრული, როგორც: ▪ არა მარტო სამეცნიერო-აკადემიური პერსონალის მომზადება, არამედ ფართო კომპეტენციის მქონე სპეციალისტებისა დასაქმების ბაზრის სხვადასხვა სეგმენტების დასაკმაყოფილებლად, მათ შორის მაღალი სამთავრობო იერარქიისა. ▪ სამეცნიერო ფუნდამენტის შექმნა საზოგადოების მოთხოვნებზე დამყარებული ახალი ცოდნის გენერირებითა და გავრცელებით. არსებულ დოქტორანტთა კვლევითი თემები, ისევე, როგორც კურსდამთავრებულთა, ფოკუსირებულია გამოყენებით კვლევაზე და შეესაბამება პროგრამის მიზნებს. პროგრამის სწავლის შედეგები, თუმცა ზოგადად, თავსებადია პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან, გადმოცემულია ამომწურავად დეტალური ფორმით. უამრავი რაოდენობა სწავლის შედეგებისა (ერთად 31) მოიცავს ბევრ გამეორებას და არ მატებს პროგრამას არავითარ ღირებულებას. საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, სწავლის შედეგები უნდა შემოიფარგლებოდეს 10-12-ით (სადოქტორო პროგრამებში კიდევ უფრო მეტად, რადგან მე-3 ციკლის პროგრამები უფრო ფოკუსირებულია) და ხაზს უსვამდეს სწავლის შედეგებს, რომელთა მიღწევაც შესაძლებელია იქნეს შემოწმებული. მაგალითად, 4-ვე სწავლის შედეგი „ცოდნა და გაცნობიერების“ ქვეშ შესაძლებელია კომბინირებულ იქნეს როგორც (მაგალიღად) კურსდამთავრებულებს შეეძლებათ ღრმად გააცნობიერონ მეცნიერების განვითარება (უახლესი) სფეროში, ახალი სამეცნიერო პროცესები, თანამედროვე მეთოდოლოგიური მიდგომები და შექმნილი კონცეფციები, იმ დონემდე, რომელზეც შეეძლებათ საკუთარი კვლევის განსაზღვრა და განხორციელება, რომელიც დააკმაყოფილებს საერთაშორისო რეფერირებადი გამოცემების მოთხოვნებს. „კომუნიკაციის უნარების“ სწავლის შედეგები არ საჭიროებს ყველა სახის კომუნიკაციის უნარების მოხსენიებას, გარდა ძირითადი მოლოდინებისა კურსდამთავრებულებისაგან, ანუ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარს საკუთარი კვლევის იდეის პრეზენტაციისათვის, სამეცნიერო შედეგების მომზადებას, გამოცემასა და გავრცელებას შესაბამისი ენისა და სტანდარტების დაცვით, ეფექტურ სწავლებას და ა.შ. სხვა

აფეროს სწავლის შედეგები, ასევე, შეიძლება გამოხატულ იქნეს ისეთივე კონცეფციით, პროგრამის მიზნებისა და ამოცანებისათვის ყოველგვარი ღირებულების დაკარგვის გარეშე (მაგ. „გამოყენების უნარი“ #4, #5 და #6 სწავლის შედეგებში ეხება ბიზნესის ადმინისტრირების სპეციფიკურ სფეროებს. დასკვნის გაკეთების უნარი შეიძლება ინტეგრირებულ იქნეს იდენტიფიცირების, გაანალიზების, შეფასების, მოგვარებისა და რეკომენდების ხაზგასმით და ა.შ.).

პროგრამის უწყვეტი განვითარების ფარგლებში, ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში განხორციელდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება. აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა მისცა პროგრამას უფრო ძლიერი აკადემიური პროფილი; პროგრამის ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება მოიცავს ასოცირებას ჰარვარდის ბიზნესის სკოლასთან, რამაც უკვე ბევრი შესაძლებლობა შეუქმნა სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს; კურიკულუმის რესტრუქტურიზაციამ განამტკიცა კანდიდატის კვლევითი უნარების განვითარება. ესაა მაგალითები, რომლებმაც რეალურად გააძლიერეს პროგრამა.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ამ პროგრამის ფარგლებში მიღწევადია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციული გუნდმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს რამოდენიმე საინტერესო იდეა პროგრამის შემდგომი განვითარების თაობაზე. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამა მიიღებს დიდ სარგებელს მისი დაკავშირებით კვლევით პროექტებთან, რომელთა მოზიდვაც შეუძლია უნივერსიტეტს ამასთან დაკავშირებული შესაძლებლობების გააქტიურებით. ვიზიტის დროს დადასტურდა, რომ ამ მიმართულებით პროგრამის ხელმძღვანელისა და აკადემიური პერსონალის მხრიდან რამოდენიმე აქტივობამ უკვე დაიწყო განხორციელება (მაგ. DAAD -ის პროექტი, კვლევის კომერციალიზაცია, უძრავი ქონების რეგისტრაცია განვითარებად ქვეყნებში და სხვ.). უნივერსიტეტის ახლად დაარსებული კვლევითი ცენტრი, ასევე, მოსალოდნელია რომ ითამაშებს მნიშვნელოვან როლს ამგვარი აქტივიბების დახმარებაში. სოციალურ პარტნიორებს, ასევე, შეუძლიათ წვლილის შეტანა ამ ძალისხმევაში (იხილე სექციები 1.5 და 5.2).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *თვითშეფასების ანგარიში;*
- *უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან*
- *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*

რეკომენდაციები:

- უნდა გადაიხედოს მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები, რათა გახდეს უფრო თანმიმდევრული და ასახოს პროგრამის სწავლის ყოვლისმომცველი მიზნები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- იმუშავეთ სისტემატურად და მოახდინეთ ძალისხმევის ინტენსიფიცირება. რათა დაუკავშიროთ სადოქტორო პროგრამა კვლევით პროექტს ან კვლევით ცენტრს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა შედგენილია ECTS სისტემის შესაბამისად მესამე ციკლის პროგრამებისათვის და შედგება 180 ECTS კრედიტის ოდენობის მთლიანი დატვირთვისაგან, რომელიც ორ მოდულადაა გაყოფილი.

პირველი მოდული (60 კრედიტი, სემესტრები 1 და 2) მიზნად ისახავს კვლევითი სამუშაოს ჩასატარებლად საჭირო უნარებისა და სტუდენტთა მიერ ცოდნის გადაცემის (საუნივერსიტეტო დონის სწავლების) შესაძლებლობების განვითარებას. ზოგადი ნაწილი მოიცავს კურსებს, რომლების მიზანია სწავლების უნარების (პედაგოგიკა და ფსიქოლოგია) განვითარებას, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სიახლეების შესწავლას, კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებულ უნარებსა და აკადემიურ წერას. სფეროს სპეციფიკური ნაწილი მოიცავს ორ ინდივიდუალურად შედგენილ სემინარს, რომლებიც განავითარებენ ცოდნის ახალებურ გაცნობიერებასა და ექსპანსიას, თითოეული კანდიდატის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული თანამედროვე და მოწინავე მიღწევების ინტეგრირებას.

სტუდენტები ირჩევენ სემინარის თემას და მიმწოდებელ აკადემიურ პერსონალს, მისი კვლევითი ინტერესებისა და სპეციალიზაციის საფუძველზე. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა საკმაოდ მოქნილია სტუდენტთა საჭიროებებზე სემინარების მორგების კუთხით, სტუდენტის მიერ შეთავაზებული აკადემიური პერსონალის მოწვევის მხრივ იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი გამოცდილების აფილირებული პერსონალი უნივერსიტეტში არ არის. ორი ბლოკი სემინარების გარდა სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კურსი პარტნიორ (საერთაშორისო) უნივერსიტეტში, ასწავლოს პროფესორის ასისტენტის პოზიციიდან, ან აიღოს მისი ხელმძღვანელის „სწავლების კურსი“ . ამ მოდულის სწავლის შედეგები მიიღწევა შესაფერისი სწავლებისა და სწავლის აქტივობებით, როგორებიცაა პრეზენტაციები, ინტერაქტიული ლექციები, დისკუსიები, ვორქშოპები, პრაქტიკულები, ჯგუფური მუშაობა და ბლოკ-სემინარები.

მეორე მოდული (120 კრედიტი, სემესტრები 3-6), რომელიც მოიცავს სადოქტორო დისერტაციის შემუშავებასა და დაცვას, სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ სტუდენტი პროგრესულად გადის გარკვეულ საფეხურებს სპეციალური აქტივობებით, სანამ მიაღწევს მისი კვლევითი სამუშაოს საბოლოო წერტილს.

კვლევის მეთოდოლოგია და ორ-ბლოკიანი სემინარები განიხილება ინტერვიუირებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა მიერ როგორც პროგრამის ძლიერი მხარეები, რომელთაც ჰქონდათ სერიოზული ზეგავლენა სამეცნიერო სამუშაოს შესრულებისათვის მომზადებაში. უკანასკნელი ცვლილება კვლევის მეთოდოლოგიის რესტრუქტურიზაციაში კურსის „პრობლემური სემინარი - სადისერტაციო კვლევის“ შემოღებით, როგორ წინაპირობისა „სადოქტორო კვლევის მეთოდოლოგია და დისერტაციის არქიტექტონიკა“, მოწონებულ იქნა როგორ სტუდენტების, ისე დისერტაციის ხელმძღვანელების მიერ. ინტერვიუებში ნათელი იყო, რომ ახალი სტუდენტებს, რომლებიც მიღებულ იქნენ პროგრამაში ამ ცვლილებების

განხორციელების შემდეგ, ჰქონდათ უკეთესი პერსპექტივები სადოქტორო დონის კვლევის დაწყებისა მათი სწავლის უფრო ადრეულ ეტაპზე. პროგრამის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა აქტიური ასოცირება ჰარვარდთან და სხვა უნივერსიტეტებთან, რაც ეხმარება პროგრამის ძირითად კომპონენტს (მაგ. ბლოკ-სემინარებს, შერჩევით სასწავლო პროცესს, სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას ქეისების შესწავლას, ლექციებს, ხელმძღვანელობას, სტუდენტთა გაცვლასა და სხვ.). ერთად-ერთი პრობლება, რომელსაც ხედავს ექსპერტთა ჯგუფი მდგომარეობს იმაში, რომ კრედიტების განაწილება პირველ ორ სემესტრში არაა დაბალანსებული. მართალია პირველ სასწავლო წელს საერთო ჯამში გამოყოფილი აქვს 60 ECTS კრედიტი, მათი განაწილება 20/40 პირველ ორ სემესტრში, ქმნის სტუდენტთა გადატვირთვის საშიშროებას მეორე სემესტრში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დოქტორანტთა უმეტესობა სწავლის პარალელურად მუშაობს. მართალია სტუდენტებს აქვთ უფლება აიღონ სემესტრში 30 კრედიტზე მეტი, ტიპიური სასწავლო გეგმა უნდა ითვალისწინებდეს არაუმეტეს 30 კრედიტისა სემესტრში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *პროგრამის სასწავლო გეგმა* ○ *პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმები* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *ინტერვიუები დოქტორანტების ხელმძღვანელებთან* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან*
რეკომენდაციები: ○ განახორციელეთ სასწავლო გეგმის რესტრუქტურიზაცია ისე, რომ ტიპიური სემესტრი მოიცავდეს 30 ECTS დატვირთვას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ უცხოური პარტნიორი უნივერსიტეტების ჩართულობა პროგრამაში
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული

მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც ეს წინა სექციაში იყო აღწერილი, პროგრამის კომპონენტები მოიცავს სფეროს დისციპლინებს, მე-3 ციკლის პროგრამებისათვის შესაბამისი ზოგადი კომპეტენციების განმავითარებელ დისციპლინებს, მეთოდოლოგიურ დისციპლინებს და შერჩევით სასწავლო დისციპლინებს. პროგრამის კვლევითი ელემენტი ეფუძნება კონტროლირებულ პროცესს, რომელიც მოიცავს სპეციალურ აქტივობებს, როგორებიცაა: - ორი კოლოკვიუმი, რომლებიც მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის მომზადებას (ქართულ ენაზე) და სამეცნიერო ანგარიშის პრეზენტაციას (ერთ-ერთ ევროპულ სამეცნიერო ენაზე). - ერთ სამეცნიერო ნაშრომს რეფერირებად გამოცემაში (ქართულ ენაზე). - ერთ სამეცნიერო ანგარიშს/თეზისებს Forum or Electronic მატარებლების საერთაშორისო კოლექციაში , პერსონალური მონაწილეობის დადასტურებით (უცხო ენაზე). - ერთ სამეცნიერო სტატიას საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში (უცხო ენაზე). - ერთ-ერთ აქტივიბას, გათვალისწინებულს სამეცნიერო შერჩევითი მოდულით - სტატიის გამოსაქვეყნებლად საერთაშორისო რეფერირებად გამოცემაში ან სამეცნიერო პრაქტიკულ ღონისძიებაზე ადგილობრივ ან საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში. - სადოქტორო დისერტაცია პროგრამის კომპონენტები უზრუნველყოფენ ცოდნის შეძენას სფეროში არსებული მდგომარეობის, დამოუკიდებელი კვლევის ჩატარების შესაძლებლობებისა და რეფერირებული პუბლიკაციისათვის საჭირო სტანდარტების დონეზე ახალი ცოდნის შექმნის თაობაზე. ადგილზე ვიზიტის შეზღუდული ვადების გამო, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოახერხა სადისერტაციო ნაშრომების ხარისხის შეფასება, რადგან ეს ამოცანა მოითხოვს საკმაოდ დიდ დროს. მიუხედავად ამისა, ზემოთ აღწერილი პროცესი საკმაოდ მკაცრია და წინა სექციაში მოცემულ რეკომენდაციებს (მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჯურნალების სიის დადგენა, რომლებშიც სტუდენტმა უნდა გამოაქვეყნოს ნაშრომი, კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ზეგავლენის მონიტორინგი), შეუძლიათ უზრუნველყონ სადისერტაციო ნაშრომის მაღალი ხარისხი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *პროგრამის სასწავლო გეგმა* ○ *კურსის სილაბუსები* ○ *თვითშეფასების ანგარიში;* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან* ○ *ინტერვიუები დოქტორანტების ხელმძღვანელებთან*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორის ხარისხის მფლობელები როგორც წესი დასაქმებულნი არიან აკადემიურ პოზიციებზე ან სპეციალურ მეცნიერ/მკვლევარ/ განმავითარებელ ან უფრო მაღალ პოზიციებზე სხვადასხვა ორგანიზაციებში. მოცემული პროგრამა აძლევს მის კურსდამთავრებულებს მათი ქვედარგის სათანადო მოწინავე თეორიულ ცოდნას, ანალიტიკურ უნარებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მათ აწარმოონ დამოუკიდებელი კვლევა და პრაქტიკულად დანერგონ მისი შედეგები, კომუნიკაციურ და სოციალურ უნარებს ცოდნის გადასაცემად და ღირებულებებს პროფესიონალურად მოქმედებისათვის. საერთო ჯამში, პროგრამა ამართლებს მის მიზანს მეცნიერ-ანალიტიკოსთა ახალი თაობის მომზადებაში, რომელთაც შეეძლებათ მაღალი დონის სამეცნიერო, აკადემიური და მენეჯერული იერარქიის მიღწევა. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა, რომლის მიზანია ახალ მკვლევართა გენერირება, როგორც წესი იზომება მათი წვლილით ახალი ცოდნის შექმნაში, გამოყენებასა და გადაცემაში. ამ თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია, რომ პროგრამამ დაადგინოს პროგრამის კვლევითი მოდულის განმავლობაში კანდიდატთა სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებისა და კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების ზეგავლენის მონიტორინგის სტანდარტები მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, სამეცნიერო ჯილდოების მიღებაში, ციტირებაში და სხვ. არსებული პრაქტიკა, კერძოდ, სტუდენტთა ნამუშევრების ჰარვარდის ბიზნესის სკოლის და სხვა პერტნიორი უნივერსიტეტების ექსპერტების მიერ შეფასების მოთხოვნის თაობაზე გათვალისწინებულია, თუმცა მთელი პროცესი უნდა იყოს ფორმალიზებული. შერჩევითი ქმედებები, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ მიმართულებით, შესაძლოა მოიცავდეს იმ მოთხოვნას, რომ დოქტორანტთა ყველა სამეცნიერო ნაშრომი იყოს ინგლისურ ენაზე, ან ასევე, ინგლისურ ენაზე, სამეცნიერო ჟურნალებისა და კონფერენციების სპეციალური სიის დადგენაზე, რომელთაც სკოლა მიიჩნევს მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონედ, და რომლებშიც სტუდენტებმა უნდა გამოაქვეყნონ თავიანთი ნაშრომები და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *კურსის სილაბუსები* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *ინტერვიუები დოქტორანტების ხელმძღვანელებთან* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან*

- *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

- პროგრამამ უნდა დაადგინოს სამეცნიერო ჟურნალების სია (ქართული და საერთაშორისო), ან სხვა საშუალებები, რომელთაც აქვთ მაღალი სამეცნიერო გავლენა და მოეთხოვოს სტუდენტებს განათავსონ აქ მათი პუბლიკაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- შემოიღეთ და დაამკვიდრეთ პროგრამის კურსდამთავრებულთა მონიტორინგის სისტემა სამეცნიერო შედეგების რეგისტრირებისათვის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში მეტწილად წარმოებს არაფორმალური კომუნიკაციებით პროგრამის მენეჯერებს, სტუდენტებს, კურსდამტავრებულებს, აფილირებულ და მოწვეულ პერსონალსა და დამსაქმებელთა წარმომადგენლებს შორის. საუნივერსიტეტო რეგულირებები მოიცავს სტუდენტთა მონაწილეობის ოფიციალურ უზრუნველყოფას სასწავლო პროგრამის კომიტეტებში. პროგრამის მცირე ზომისა და მისი სპეციალური, როგორც სადოქტორო პროგრამის, საჭიროებების გამო, არაფორმალური კომუნიკაციები ეფექტიანია და კარგად მუშაობს პროგრამის შემუშავებაში. ზოგიერთი აქტივობა, როგორიცაა სილაბისების რევიზია, კვლევის მეთოდოლოგიის მოდულის რესტრუქტურიზაცია, პრობლემური სემინარის კურსის შემოღება, განხორციელდა სტუდენტთა და მოწვეული პერსონალის მოთხოვნების საპასუხოდ.

კურსდამთავრებულები და შერჩეული სოციალური პარტნიორები შესაძლოა იყვნენ უფრო აქტიურები პროგრამის შემუშავებაში. მაგალითად, გამოკითხულ ორ სოციალურ პარტნიორს (მერიისა და განვითარების სააგენტოს წარმომადგენლები) შეუძლია დაეხმარონ პროგრამის პროფილის გაუმჯობესებაში სამოქალაქო და სოციალური განვითარების მიზნით გამოყენებითი კვლევის პორტფოლიოს შემუშავებით. ვინაიდან დღეისათვის გამოყენებითი კვლევები

ინტერდისციპლინური ბუნებისაა, პროგრამამ უნდა გამოიკვლიოს უნივერსიტეტის სხვა სკოლებთან თანამშრომლობის პოტენციალი. ამგვარმა აქტივობებმა შესაძლოა გააძლიეროს სკოლის კვლევითი პროფილი და შეძლოს პრო-აქტიური სტრატეგიის ჩამოყალიბება კარგი ხარისხის მქონე კანდიდატების მოსაზიდად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება თვითშეფასების ჯგუფთან* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან* ○ *სკოლისა და პროგრამის სტანდარტები და რეგულაციები*
რეკომენდაციები: ○ აქტიურად ჩართეთ დაინტერესებული მხარეები პროგრამის შემუშავებაში, განსაკუთრებით კვლევითი კლასტერის შემუშავებისას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი		☒		

შესაბამისობა პროგრამასთან				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაშვების პირობები მკაფიოა. პროგრამაზე დაშვების პირობები მოითხოვს კანდიდატებისაგან მაგისტრის ხარისხს ბიზნესის ადმინისტრირების ან ეკონომიკის სფეროში ან არანაკლებ 5 წლიან მენეჯერული საქმიანობის გამოცდილებას. სტუდენტებმა, ასევე, უნდა მოამზადონ და წარადგინონ მათი სადისერტაციო კვლევის თემის წინადადება და გაიარონ ამ წინადადების საკვალიფიკაციო შეფასება. ინგლისური ენის (ან სხვა ევროპული ენის) B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი ასევე უნდა იქნეს წარმოდგენილი. მართალია მენეჯერული საქმიანობის გამოცდილება აძლევს სტუდენტებს სამენეჯმენტო ფუნქციების ცოდნას, მაგრამ მას არ შეუძლია დოქტორანტურისათვის აუცილებელი თეორიული ცოდნის სრულად ჩანაცვლება. ამ შემთხვევაში შესაძლოა სჭირო გახდეს დამატებითი პროგრამამდელი კურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან* ○ *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ განიხილეთ კურსებამდე ლექციების შემოღების საკითხი სტუდენტებისათვის, რომელთაც არა აქვთ მენეჯმენტის/ეკონომიკის ბექგრაუნდი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის დონეს. დატვირთვის მეტი ნაწილი, როგორც ეს შეესაბამება სადოქტორო პროგრამას, მოდის სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობაზე , რომელსავ ხელმძღვანელობს და წარმართავს ხელმძღვანელი და აკადემიური პერსონალი, რომელიც აწვდის სემინარებსა და სხვა „სასწავლო“ კომპონენტებს.

სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები ძირითადად ინტერაქტიულია და მოიცავს ლექციებს, დისკუსიებს, პრეზენტაციებს, სემინარებს, პრაქტიკულ მუშაობას, ჯგუფურ მუშაობას, ელ-სწავლებას, ბლოკ-სემინარებს.

პროგრამის არაკვლევითი ნაწილისათვის (პირველი წელი) საკონტაქტო საათების რაოდენობა არის 300 პლუს 90 საათი კონსულტაციებისათვის.

სამენეჯმენტო გუნდი ზრუნავს სასწავლო პროფესის ეფექტიანობის გაზრდაზე და შეძლებისდაგვარად მოქნილია სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებისას. პროგრამის მენეჯმენტისა და სტუდენტების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად მოწვეულ პერსონალს ეთხოვა მონაწილეობის მიღება და სემინარების ჩატარება დოქტარანტი სტუდენტების საჭიროებების შესაბამისად. სტუდენტებს გაეწიათ დახმარება სემინარებზე დასაწრებად საერთაშორისო უნივერსიტეტებში. უცხოური უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალი მოქმედებს როგორც სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების მრჩეველი და ექსპერტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *პროგრამის სასწავლო გეგმა*
- *კურსის სილაბუსები*
- *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან*
- *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*
- *ინტერვიუები სტუდენტებთან*
- *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტები უზრუნველყოფენ ცოდნისა და უნარების ეტაპობრივ განვითარებას იმგვარად, რომ სტუდენტებმა კარგად მომზადებულებმა მიაღწიონ სადოქტორო პროგრამის კვლევით ეტაპს.

სტუდენტი იწყებს ზოგადი კურსებით, რომელთა მიზანია: ა) სწავლების უნარის განვითარება (პედაგოგიკა და ფსიქოლოგია) და მათი მომზადება უმაღლეს განათლებაში აკადემიურ პოზიციებზე სამუშაოდ და ბ) მენეჯმენტის სფეროში სიახლეების შესწავლა, მათ შორის სტუდენტებში მენეჯმენტის პროცესში იდენტიფიცირებული პრობლემების სისტემური ხედვის ფორმირება ახალი შემოქმედებითი იდეების და მენეჯერული ჰიპოთეზების გენერირება; სამეცნიერო-კვლევითი პროცესებისა და ჯგუფებისათვის საჭირო ლიდერობის უნარების განვითარება.

შემდეგ, სტუდენტებს გააცნობენ კვლევის მეთოდოლოგიას და აკადემიურ წერას (დისერტაციის არქიტექტონიკას). კვლევითი მეთოდოლოგიის წინაპირობას წარმოადგენს სემინარზე დაფუძნებული კუსრი („პრობლემური სემინარი - სადისერტაციო კვლევა“), რომლის მიზანია სტუდენტებისათვის ფართო დიაპაზონის, უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი მეთოდების მიწოდება, რათა სტუდენტებმა შეძლონ კვლევის შესაბამისი დიზაინის შექმნა და განავითარონ ახალი ცოდნა და იდეები, პრობლემის სპეციფიკის გათვალისწინებით (კვლევის ელემენეტები, კვლევის დიზაინის ტიპი, საკითხისა და კვლევის მიზნების განსაზღვრა, კვლევის ჰიპოთეზის დადგენა და სხვ.). კვლევის მეთოდოლოგიის კურსი, რომელიც ფოკუსირებულია სადოქტორო კვლევის არსსა და თავისებურებაზე, ყურადღებას ამახვილებს პრობლემაზე და არა თემაზე და აცნობს ნაბიჯ-ნაბიჯ შაბლონურ მიდგომას საკითხის მოსაგვარებლად. ამ კურსის დასრულებისთანავე სტუდენტები მზად არიან სადოქტორო კვლევის დასაწყებად. დოქტორანტების მოსამზადებლად კონკრეტული კვლევის განსახორციელებლად და შედეგების სამეცნიერო სტატისს ფორმით წარსადგენად ემატება განცალკევებული მოდული - მოკლე ინტენსიური კურსი „სამეცნიერო სტატია: არსი, სტრუქტურა, პროცესი".

თავიანთი კვლევის თემის შესახებ ცოდნის გასაღრმავებლად სტუდენტები იღებენ ორ ინდივიდუალურად მორგებულ სემინარს მათი დისერტაციის სფეროსთან უშუალოდ დაკავშირებულ თემებზე. ორი ბლოკი სემინარების გარდა სტუდენტს შეუძლია აირჩიოს კურსი პარტნიორ (საერთაშორისო) უნივერსიტეტში, ასწავლოს პროფესორის ასისტენტის პოზიციიდან, ან აიღოს მისი ხელმძღვანელის „სწავლების კურსი“ . ამ მოდულის სწავლის შედეგები მიიღწევა შესაფერისი სხვადასხვა სწავლის აქტივობებით, როგორებიცაა პრეზენტაციები, ინტერაქტიული ლექციები, დისკუსიები, ვორქშოპები, პრაქტიკულები, ჯგუფური მუშაობა და ბლოკ-სემინარები.

მეორე მოდული (120 კრედიტი, სემესტრები 3-6), რომელიც მოიცავს სადოქტორო დისერტაციის შემუშავებასა და დაცვას, სტრუქტურირებულია იმგვარად, რომ სტუდენტი პროგრესულად გადის გარკვეულ საფეხურებს სპეციალური აქტივობებით, სანამ მიაღწევს მისი კვლევითი სამუშაოს საბოლოო წერტილს (აღწერილს 1.3-ში).

ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ პროგრამის კომპონენტების თანამიმდევრობა რაციონალურია და უზრუნველყოფს სტუდენტთა თანაბრად პროგრესირებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *პროგრამის სასწავლო გეგმა*
- *კურსის სილაბუსები*
- *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*
- *ინტერვიუები სტუდენტებთან*
- *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

A. კურსების შესახებ

თითოეული კურსის ხასიათის გათვალისწინებით გამოყენებულია შეფასების სხვადასხვა მეთოდები. საერთოდ, სტუდენტების შეფასება ხდება მათ მიერ კურსის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს მიხედვით, ისევე, როგორც შუალედური და საბოლოო შეფასების შეფასების მეშვეობით.

ნაწილების ხვედრითი წონა ვარირებს საგნის შესაბამისად: ზოგადად, პერიოდის განმავლობაში

შეფასება შედგება უფრო მეტი ელემენტისაგან და აქვს მეტი წონა, ვიდრე საბოლოო შეფასებას. პროგრამა ითვალისწინებს მკაცრ აკადემიურ მიდგომას სტუდენტთა შეფასებაში: მხოლოდ მათ, ვინც ზღვარი ვერ გადალახა (41-50 ქულა) ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის შანსი დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ. დანარჩენებმა უნდა გაიარონ კურსი ხელახლა. სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ მინიმალურ გადასალახ ქულას შეფასების როგორც შუალედურ, ისე საბოლოო ნაწილში იმისთვის რომ კურსი გავლილად ჩაითვალოს. B. დისერტაციის შესახებ დისერტაციის დაცვამდე მისვლა საჭიროებს ყველა წინა ვალდებულების შესრულებას (სამეცნიერო პუბლიკაციებს), როგორც ეს აღწერილია სექცია 1.3-ში. დისერტაციის დაცვა ხდება 5-7 კაციანი საატესტაციო ექსპერტთა კომიტეტის წინაშე. ღონისძიების შესახებ განცხადება ქვეყნდება ვებ-გვერდზე ერთი თვით ადრე და ღიაა აკადემიური საზოგადოების წევრებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *პროგრამის სასწავლო გეგმა* ○ *კურსის სილაბუსები* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან* ○ *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების,

ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ყოველი ნაწილის შეფასების კრიტერიუმები ნათლად და გამჭვირვალედ არის ჩამოყალიბებული ყოველი კურსის სილაბუსში. სტუდენტები ინფორმირებული არიან როგორ ხდება მათი შეფასება თითეულ ელემენტში. სადოქტორო დისერტაციის მოთხოვნები განცხადებულია ძალიან მკაფიოდ „სადოქტორო დისერტაცია, როგორც სადოქტორო აკადემიური პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, ასახავს დოქტორანტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებს, რომელიც აჩვენებს ავტორის განახლებული ცოდნის დიაპაზონსა და მეცნიერების კვლევის უნარს“. დისერტაცია უნდა მოიცავდეს მეცნიერულად არგუმენტირებული თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის შედეგებს/სამეცნიერო ინივაციებს, რაც ზრდის თეორიულ და/ან პრაქტიკულ მიმართულებას ახალი ცოდნის გენერირებისა და დარგის/ქვე-დარგის შემდგომი განვითარებისათვის. მოცემული პროგრამის ფარგლებში, მისი ყველა ელემენტის მსვლელობაში არსებობს მჭიდრო თანამშრომლობა დოქტორანტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. გამოკითხული სტუდენტები და კურსდამთავრებულები იყვნენ მეტად კმაყოფილნი დახმარებით, რომელსაც იღებენ სწავლის პერიოდში. უნივერსიტეტი იყენებს პლაგიარიზმის დასადგენ სისტემას „ტარნიტინს“ პლაგიარიზმის შემთხვევების შესამოწმებლად. პლაგიარიზმის თაობაზე დეტალური დებულებები ჩართულია სადოქტორო პროგრამის აკადემიურ რეგულაციებში. პროგრამის ხელმძღვანელებსა და სხვა აკადემიურ პერსონალს ჩაუტარდათ ტრენინგი ამ სისტემის გამოყენების შესახებ. პუბლიკაციის წარდგენის წინ ხორციელდება სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომის ანონიმური მიმოხილვის პროცესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *პროგრამის აღწერის დოკუმენტი* ○ *პროგრამის სასწავლო გეგმა* ○ *კურსის სილაბუსები* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან* ○ *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ შემოიღეთ გარე აკადემიური პერსონალის (უნივერსიტეტთან არა აფილირებული) მონაწილეობა საატესტაციო ექსპერტთა კომიტეტში წევრებად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	☒			

3.სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დაშვების პროცესში, სტუდენტებს მოეთხოვებათ მათი სადისერტაციო კვლევის თემის წინადადების წარდგენა და მიიღებიან მისი საკვალიფიკაციო შეფასების შემდეგ. პრინციპში, მათი წინადადება განსაზღვრავს მათ სასწავლო პროფილს.

დოქტორანტთა აკადემიური პროცესის დაწყებამდე, უნივერსიტეტში ხდება შეხვედრები მათთვის უნივერსიტეტის რეგულაციების და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების, მათ შორის სტუდენტის სტატუსისა და საგანმანათლებლო პროცესის გაცნობით.

ხელმძღვანელის შერჩევა ხდება კვლევის კონკრეტული თემის შესაბამისად. თუ არსებულ აკადემიურ პერსონალში არაა სპეციფიკური გამოცდილება, უნივერსიტეტი იწვევს შესაფერისი გამოცდილების მქონე აკადემიურ პერსონალს პროგრამაში მონაწილეობისათვის. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები აღწერილია პროგრამის აკადემიურ რეგულირებებში.

სტუდენტები, ასევე, იღებენ მხარდაჭერას მათი კვლევითი სამუშაოს მოსამზადებელი ფაზის განმავლობაში. ხელმძღვანელთან და პროგრამის ადმინისტრაციასთან კონსულტირებით, მათ შეუძლიათ მოითხოვონ კონკრეტული სფეროს სპეციფიკური გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, ინდივიდუალურ დონეზე ბლოკ-სემინარების ჩასატარებლად.

პროგრამის ჩარჩოებში სტუდენტები, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე, იღებენ კონსულტაციას უნივერსიტეტისა და პროგრამის ადმინისტრაციიდან (უნივერსიტეტის რექტორი, დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები), ისევე, როგორც ადმინისტრაციული მომსახურებებიდან (სკოლის ECTS კოორდინატორი, მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი და სხვ.). სტუდენტები ამბობენ, რომ ისინო კომფორტულად გრძნობენ თავს კომუნიკაციისას და იღებენ სათანადო დახმარებას. აღინიშნა შემთხვევა, რომ

უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება შეეცვალა ხელმძღვანელი არაადეკვატური დახმარების გამო. გამოკითხული სტუდენტები აქებენ უნივერსიტეტს მათთვის გაწეული დახმარების გამო „ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი იღებენ, კარგი კომუნიკაციისათვის აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ადმინისტრაციასთან, მოქნილობისათვის, ზუსტი ინფორმაციის მიღებისათვის“.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან* ○ *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი რადგან განსახილველი პროგრამა სადოქტოროა, იგი მოიცავს უამრავ ინდივიდუალურ მუშაობას სტუდენტთან. თითოეულ აკადემიურ პერსონალს შეუძლია უხელმძღვანელოს 5-მდე დოქტორანტს. თუმცა, პრაქტიკულად მაკსიმალური რაოდენობა დოქტარენტებისა აღწევს 3-ს (ერთ შემთხვევაში) და ამჟამად აკადემიური პერსონალის წევრები ხელმძღვანელობენ 1 ან 2 დოქტორანტს. ინდივიდუალური მუშაობა სტუდენტებთან არ შემოიფარგლება დისერტაციის ხელმძღვანელობით; ორი ბლოკ-სემინარი და შერჩევითი სასწავლო კურსი მიეწოდებათ სტუდენტებს ინდივიდუალურ საფუძველზე.

ინდივიდუალური მუშაობა სასწავლო საგნებში იწყება არაფორმალურად ან გამოქვეყნებული კონსულტაციების ცხრილის შესაბამისი საკონსულტაციო საათების მსვლელობაში.

სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისაგან მიღებულმა მტკიცებულებებმა დაადასტურა, რომ მათ მიმართ ინდივიდუალური მიდგომით იჩენენ დიდ უყრადღებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *პროგრამის აღწერის დოკუმენტი*
- *პროგრამის სასწავლო გეგმა*
- *კურსის სილაბუსები*
- *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*
- *ინტერვიუები სტუდენტებთან*
- *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3 დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

სტუდენტების ჩართულობა კვლევაში ძირითადად წარმოებს მათი სადოქტორო დისერტაციის ჩარჩოებში. ზოგიერთი სტუდენტი, ასევე, ჩართულია სხვა კვლევით პროექტებშიც, რომელთაც აწარმოებს აკადემიური პერსონალი (მაგ. „პროფესიული ორიენტაცია“), ზოგიც მონაწილეობს კვლევითი პროექტების წინადადებების შემუშავებაში.

კვლევითი აქტივობების დახმარებისა და ხელშეწყობისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რიგი ინიციატივებისა, რომლებიც მოიცავს ევროპულ სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთობლივად საერთაშორისო ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციის „ევრაზიის

მულტიდისციპლინური ფორუმი“ ორგანიზებას, რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნეს“ გამოქვეყნებას, რომელშიც იბეჭდება სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის ნაშრომები და სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო გამოცემებში პუბლიკაცია. უნივერსიტეტის საგამომცემლო ცენტრი აქვეყნებს წიგნებს, კონფერენციის მასალებსა და სტატიებს. დოქტორანტთა ნაშრომების პუბლიკაციები მხარდაჭერილია აკადემიურად, გამოსაქვეყნებლად წარდგენამდე ექსპერტთა ანონიმური მიმოხილვის პროცესით და ფინანსურად, გამოქვეყნების ხარჯების სრული ან ნაწილობრივი სუბსიდირებით. პროგრამა ჯერ კიდევ არაა ძლიერი ეროვნული თუ საერთაშორისო ფონდების მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტების მოპოვებაში. პროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან დისკუსიებმა გამოავლინა, რომ ამჟამად ამ მიმართულებით მეტი აქტივობა ხორციელდება. ზოგიერთი აკადემიური და მოწვეული პერსონალი მუშაობს კვლევითი პროექტების წინადადებების შემუშავებაზე, ხოლო ახალი სტრუქტურა, "სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი", რომელიც დაფუძნებულია ბიზნესისა და მენეჯმენტის სკოლაში, განიხილავს დოქტორანტების კვლევით პროექტებში ჩართვას, სადისერტაციო კვლევების ხელშეწყობას და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან* ○ *უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;* ○ *პუბლიკაციების,/კრებულების ნიმუშები*
რეკომენდაციები: ○ მოახდინეთ კვლევითი პროექტების პროგრამაში მოზიდვის ძალისხმევის ინტენსიფიცირება. ფოკუსირებული კვლების სფეროების დასადგენად ითანამშრომლეთ სოციალურ პარტნიორებთან. განიხილეთ საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან ერთობლივი კვლევების ჩატარების შესაძლებლობები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

სწავლების-სწავლის, სამეცნიერო კვლევის და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას.

პროგრამა ერაზმუსის ჩარჩოებში, დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა რომ განავითარონ სამეცნიერო კვლევითი ან აკადემიური კომუნიკაციური უნარები პარტნიორ უნივერსიტეტებში. ჰარვარდის ბიზნესის სკოლასთან თანამშრომლობა აძლევს დოქტორანტებს შესაძლებლობას დაესწრონ ყოველწლიურ ვოქშოფებს ჰარვარდის ბიზნესის სკოლის სტრატეგიისა და კონკურენტუნარიანობის ინსტიტუტში. გარდა ამისა, დოქტორანტებს შეუძლიატ აირჩიონ თანახელმძღვანელად ან კონსულტანტად უცხი ქვეყნის უნივერსიტეტის პროფესორი და წარადგინონ და განიხილონ თავისი სადოქტორო ნაშრომი უცხოურ უნივერსიტეტში.

ეს შესაძლებლობა იშვიათად იქნა გამოყენებულ სტუდენტების მიერ, რადგან მათი უმეტესობა ამავდროულად სრულადაა დასაქმებული.

პროგრამის შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე, აქვს ჰარვარდის ბიზნესის სკოლის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.

უნივერსიტეტი შექების ღირსია როგორც სტუდენტთა, ისე აკადემიური პერსონალის ფინანსური დახმარებისათვის გაცვლით პროგრამებში, რაც კარგადაა დაფასებული ამ გაცვლებში მონაწილეთა მიერ.

სადოქტორო პროგრამა მოიცავს აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებს უცხო ენაზე: სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადება უცხო ენაზე საერთაშორისო რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებლად, კვლევის შედეგების საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე პრეზენტაცია ხელს უჭყობს დოქტორანტთა უცხო ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან*
- *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ*
- *გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან*
- *ინტერვიუები სტუდენტებთან*
- *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მოახდინეთ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ინტენციფიცირება ინსტიტუციის უპირატესობების გამოყენებით: მცირე ზომა, კარგი ორგანიზებულობა, მიზანდასახული ხელმძღვანელობა, მოქნილობა და ეფექტიანობა. შეიმუშავეთ სტრატეგიული გეგმა სპეციალური აქტივობებითა და სამიზნეებით. აქტივობები, როგორიცაა საერთაშორისო სადოქტორო გამოცდილების მქონე პერსონალის მოწვევა, მეტი საერთაშორისო პროფესორების მოწვევას შეუძლია განავითაროს პროგრამის საერთაშორისო პროფილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- უნივერსიტეტის მიერ ფინანსური დახმარების გაწევა ჰარვარდის უნივერსიტეტში გაცვლითი პროგრამით წასული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების მიწოდების მიზნებს. უნივერსიტეტის ბაზა შედგება თანამედროვე, კომფორტული და მოხერხებული კამპუსისაგან, დაპროექტებულის ეფექტიანი სწავლება/სწავლის აქტივობების განსახორციელებლად, უზრუნველყოფს სწავლისათვის სასიამოვნო გარემოს და შესაძლებლობებს სწავლის შედეგების მისაღწევად. აუდიტორიები სრულადაა აღჭურვილი სათანადო სასწავლო აპარატურით (მაგ. IT ტექნოლოგიებით, კომპიუტერებითა და პროექტორებით) და ტანამედროვე ავეჯით, რომელიც ხელს უწყობს ინტერაქტიულობას და კლასში სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის კომუნიკაციას. ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს საგანმანათლებლო პროცესის მოთხოვნების შესაბამისად და სათანადოდ ეხმარება დოქტორანტებს (დეტალები იხილეთ სექცია 4.4-ში). უნივერსიტეტის თანამედროვე ტექნოლოგიები გამოიყენება სასწავლო მასალების ვიზუალიზაციისათვის. ბიბლიოთეკის აქვს იმ წიგნების უმეტესობა, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში, წიგნების ელექტრონული ასლები ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში, ასევე ელექტრონული პორტალზე, რომელიც ხელმისაწვდომია კონკრეტული საგნის შემსწავლელი თითოეული სტუდენტისათვის. ამ რესურსებისადმი სტუდენტთა ხელმისაწვდომობა ხორციელდება

საბიბლიოთეკო მომსახურებებით, მათ შორის ელექტრონული ბიბლიოთეკით, საბეჭდი და ასლის გადამღები შესაძლებლობებით, ინტერნეტით. საბიბლიოთეკო ფონდის განახლების მიზნით უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს წიგნების შეძენას. ახალი წიგნების შეძენის ხარჯები გათვალისწინებულია პროგრამის ბიუჯეტში. სტუდენტებს აქვთ პარტნიორი უნივერსიტეტების (ჰარვარდის უნივერსიტეტი) კვლევით და სხვა მასალებთან ხელმისაწვდომობა. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუციის რესურსები ხელმისაწვდომია არა მარტო საკონტაქტო საათების განმავლობაში სტუდენტთა სწავლების ფორმატში, არამედ დამოუკიდებელი მუშაობისათვისაც და სტუდენტებს აქვთ ამ რესურსებისადმი ხელმისაწვდომობა და გამოყენების შეუძღუდავი უფლება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან* ○ *ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან* ○ *პროგრამის ბიუჯეტი* ○ *ბიბლიოთეკის მონახულება და დისკუსიები ბიბლიოთეკარებთან*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა(არსებობის შემთხვევაში): ○
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული

გამოცდილებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ამ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს 18 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან: პროფესორია 6, ასოცირებული პროფესორი - 5 და მოწვეული ლექტორი 7. ადამიანური რესურსების დეპარტამენტი, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობაში, ზედამხედველობას უწევს და მონიტორინგს უტარებს პედაგოგების კვალიფიკაციას მათი შერჩევის პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამის პერსონალიდან თითოეული პირი შეირჩევა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული ღია, გამჭვირვალე კონკურსით, რომელიც ეფუძნება შეფასების მულტი-კომპონენტურ ინდიკატორებს.

აფილირებული და მოწვეული პერსონალის ნაკრები ქმნის პროგრამის სტაბილურობისა და მოქნილობის სწორ ბალანსს. გარდა ამისა, სპეციალიზაციის სფეროები ავსებენ ერთმანეთს, რადგან აფილირებული პერსონალის უმეტესობის გამოცდილება ფოკუსირებულია ეკონომიკის სფეროზე, ხოლო მოწვეულთა უმეტესობისა - მენეჯმენტის სფეროზე.

საერთო ჯამში, საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს აქვთ საჭირო კომპეტენციები პროგრამის განსხვავებული კომპონენტების მისაწოდებლად იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დასახული სწავლის შედეგების მიღწევა. მათი აკადემიური კომპეტენციები დასტურდება ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკის სფეროში სამეცნიერო ნაშრომებით და ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიებით. მათი კომპეტენციის მტკიცებულება სერტიფიცირებულია სამეცნიერო კვალიფიკაციით, სამეცნიერო ნამუშევრებითა და პრაქტიკული გამოცდილებით. ზემოხსენებულ პერსონალს წარმოდგენილი აქვს უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები, პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომების, მონოგრაფიების, პუბლიკაციების ჩამონათვალი და სხვა კონკრეტული კურსის(ების) სწავლების კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

უნივერსიტეტის ძალისხმევა აკადემიური და მოწვეული პერსონალის უნარების გაზრდისათვის მოიცავს სპეციალურ ტრტენინგებს და მათი სამეცნიერო პუბლიკაციებისა და ცონფერენციებში მონაწილეობის ფინანსურ წამახალისებელ ზომებს. აკადემიური პერსონალი, თავის მხრივ, ესწრება ტრენინგებს მათი აკადემიური სფეროს სიახლეების ან პროგრამის განხორციელებაში ცვლილებების თაობზე ინფორმაციის მისაღებად (მაგ. ტრენინგი პლაგიარიზმის დამდგენი პროგრამის გამოყენების თაობაზე). პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში საქართველოსა და უცხოეთში. პერსონალის სხვა საქმიანობა მოიცავს საგრანტო და ფუნდამენტური კვლევითი პროექტების წინადადებების მომზადებას, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებშიმონაწილეობას, საერთაშორისო გაცვლით პროგრამებშსა და ტრენინგებში მონაწილეობას.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ეხმარება აფილირებულ და მოწვეულ პერსონალს პროფესიულ განვიტარებაში მათი კონფერენციებში მონაწილეობის, პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლითი ვიზიტების, პუბლიკაციების და სხვ. დაფინანსებით ან თანადაფინანსებით.

ვინაიდან დარგის ახალი ცოდნის შექმნაში უდიდესწილად დომინირებს ინგლისურ ენაზე შექმნილი ნაშრომები და უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მოთხოვნა არის გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია, ექსპერტთა ჯგუფს სურს იხილოს, რომ პროგრამა აქცევს ყურადღებას აკადემიური და მოწვეული პერსონალის ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესებას, მათ მიერ დარგის უახლეს მიღწევებზე მუშაობის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. ამ მიმართულებით გარკვეული აქტივობები განხორციელდა (საერთაშორისო პარტნიორები, პერსონალის გაცვლები და ერთობლივი კვლევითი წინადადებები). ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესების მსგავს აქტივობებმა, საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების წახალისებამ, უცხოურ უნივერსიტეტებში სასწავლო გაცვლებში მონაწილეობამ შესაძლოა გახადოს პროგრამა უფრო ეფექტური. პერსონალის მიერ ყოველწლიური პერსონალური განვითარების გეგმის წარმოდგენის მოთხოვნის შემოღებამ

შესაძლოა, ასევე, დადებითად იმოქმედოს ამ მიმართულებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *პედაგოდიური პერსონალის რეზიუმეები* ○ *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან* ○ *ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.* ○ *ინტერვიუები სტუდენტებთან*
რეკომენდაციები: ○ უნივერსიტეტი უნდა დაეხმაროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს მათი ინგლისური ენის უნარების მუდმივ ამაღლებაში. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს პერსონალის გამჭვირვალე და ეფექტური კომუნიკაცია. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო იმპერატიულია ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამისათის, ვინაიდან უახლესი ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ინგლისურ ენაზეა.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ უზრუნველყავით პერსონალის წახალისება, რათა დაფინანსებულ კვლევით წინადადებებზე იმუშაონ ინდივიდუალურად ან გუნდურად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა დაკომპლექტებულია შესაბამისიკვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალით, შიდა რეგულირების ნორმატიული აქტებით გაწერილი ფუნქციებით, როლითა და უფლება-მოვალეობებით. ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პერსონალური მონაცემებით, სამუშაო გამოცდილებითა და შედეგებით. სამუშაოს აღწერილობა განსაზღვრავს თითოეული ადმინისტრაციული პოზიციის მახასიათებლებს და მოთხოვნებს ამ პოზიციისადმი.

პროგრამის ადმინისტრირება ხორციელდება დეკანის, დეკანის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის ერთეულის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის ადმინისტრატორის მიერ.

გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის პერსონალის მენეჯმენტი, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და მარკეტინგული კვლევის სამსახური, ბიბლიოთეკა, IT სამსახური, კანცელარია), რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

გამოკითხული სტუდენტები და კურსდამთავრებულები ადასტურებენ, რომ ადმინისტრაციული მომსახურება მხარდამჭერი და გულისხმიერია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- *თვითშეფასების ანგარიში*
- *სამუშაოს აღწერა*
- *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან*
- *გასაუბრება პროგრამების ხელმძღვანელებთან*
- *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან*

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი

სადოქტორო პროგრამის სასწავლო მასალა უმთავრესად ემყარება სფეროს სამეცნიერო რესურსებთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო მომსახურების უნარს (ჟურნალები, სამეცნიერო მონაცემთა ბაზები და ა.შ.) და სტუდენტთა კვლევაში მისი დახმარების შესაძლებლობებს.

სასწავლო მასალა საკმარისია პროგრამისათვის და უზრუნველყოფს გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავები მოიცავს ბეჭდურ და ელექტრონულ რესურსებს, ისევე, როგორც სხვა სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგებისმიღწევას და კურსების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის არსებობას. ლექტორები აწვდიან დამატებით რესურსებს, რომლებიც გამოიყენება სწავლების პროცესში. სასწავლო მასალა უახლესია. ლექტორები სისტემატურად ატვირთავენ სასწავლო რესურსებს, შესაბამის სლაიდებს, შენიშვნებს, ჰენდაუთებს, ტესტების ბანკებს და საშინაო დავალებებს უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლის პლატფორმაზე. პროგრამის მონიტორინგისას შეისწავლება პროგრამის განხორციელებაში გამოყენებული სასწავლო მასალის აქტუალობა და მისი განახლების საჭიროება. პროგრამის განვითარების სტრატეგია მოიცავს სასწავლო მასალის გაზრდასა და გამდიდრებას.

საბიბლიოთეკო სასწავლო რესურსები საკმარისია როგორც პედაგოგების, ისე სტუდენტებისათვის. საბიბლიოთეკო მომსახურება სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის წარმოებს კვირაში 6 დღის განმავლობაში (10:00 დან 21:00 სთ-მდე სამუშაო დღეებში და 10:00-დან 18:00 სთ-მდე შაბათობით) რეგისტრირებულ მომხმარებლებს შეუძლიათ საბიბლიოთეკო მომსახურებების მიღება დისტანციურად. გამოკითხული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანახმად, ბიბლიოთეკის საცავების უახლესი ლიტერატურით უზრუნველსაყოფად გამოყოფილი ფინანსირება საკმარისია, ხოლო მათი მოტხოვნები დამატებითი სასწავლო მასალების შეძენაზე - კმაყოფილდება.

საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზების მომსახურებებით სარგებლობა ჩართულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევით აქტივობებში. კერძოდ, უნივერსიტეტს ხელმისაწვდომობა აქვს: **Cambridge University Journals** (https://www.cambridge.org/core/browse-subjects) ბაზა, რომელიც შედგება კემბრიჯის უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა სფეროში გამოცემული 384 ჟურნალისაგან, მათ შორის ბიზნესის, ეკონომიკის, მათემატიკის,კომპიუტერული მეცნიერებების და სხვ.; **Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** (https://www.elgaronline.com). ბაზა მოიცავს 5 მოწინავე რეფერირებად ჟურნალს ეკონომიკაში, მენეჯმენტში და პერსონალის მართვაში, ასევე, 2014 წელს გამოცემულ 178 წიგნსა და კვლევას. წიგნების კოლექცია მოიცავს შემდეგ სფეროებს: ფინანსები, ეკონომიკა, ინოვაციური კვლევები, ინფრასტრუქტურის განვითარება, ჯანდაცვა, კორპორატიული მენეჯმენტი და სხვ. აქვეა, ასევე, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები და ცნობარები; **Oxford Journals Collection.** (http://www.eifl.net/e-resources/oxford-journals-collection) რომელიც მოიცავს 44 სახის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ჟურნალს. თემატიკა: ეკონომიკა, განათლება და ა.შ. სხვა მონაცემთა ბაზები მოიცავს **New England Journal of Medicine** (http://www.nejm.org/), **IMechE Journals** (https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche), **Royal Society Journals Collection** (https://royalsociety.org/journals/), Duke University's **e-Duke Journals Scholarly Collection** (https://www.dukeupress.edu/), **Open Edition Books** (https://www.openedition.org/) and others.

სხვა მასალა, რომელიც არ მოიპოვება ბიბლიოთეკაში, შესაძლებელია შეკვეთით შეძენილ იქნეს ბიბლიოთეკის მიერ. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდები, მათ შორის ელექტრონულ კატალოგთან წვდომა, კარგადაა სტრუქტურირებული და ძალიან ინფორმატიულია.

სადოქტორო პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი რესურსია ფართო სამეცნიერო რესურსებისადმი წვდომის შესაძლებლობა . უნივერსიტეტმა უნდა გააგრძელოს საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება სამეცნიერო მონაცემთა ბაზებისა და ჟურნალების გაფართოებით, რომლებთანაც

დოქტორანტებს უნდა ჰქონდეთ წვდომა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან* ○ *ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან* ○ *ბიბლიოთეკის მონახულება და დისკუსია მის დირექტორთან* ○ *ბიბლიოთეკის ფინანსირება*
რეკომენდაციები: ○ განაახლეთ ბიბლიოთეკა მეტი ონ-ლაინ რესურსებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, როგორიცაა მაგალითად EBSCO და სხვა გლობალური არქივები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ○ საბიბლიოთეკო რესურსებით სარგებლობის სისტემატური მონიტორინგი (მაგ. დაშვების სტატისტიკა და სხვ.), რათა მოცემული პროგრამისათვის განისაზღვროს მასალების გაუმჯობესებისა და განახლების საჭიროება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი პროგრამა ფინანსურად მდგრადია. პროგრამას გააჩნია ბიუჯეტი, რომელიც იძლევა მისი განვითარების საშუალებას, საჭირო რესურსების ადეკვატურ დაფინანსებას, პერსონალის დაქირავებას, ტრენინგს, გაცვლითი პროექტებისა და პროგრამის ოპერირებასთან დაკავშირებულ სხვა აქტივობების განხორციელებას. პროგრამის ბიუჯეტის განაწილება ძირითადად დაკავშირებულია: - საბიბლიოთეკო ფონდის განვითარებასთან - სასწავლო-ტექნიკური ლაბორატორიული რესურსების განვითარებასთან - დოქტორანტთა საერთაშორისო მობილობასთან - სოციალურ დახმარებებთან
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *გასაუბრება უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან* ○ *პროგრამის ხელმძღვანელებთან ინტერვიუ* ○ *პროგრამის ბიუჯეტი*
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☒		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი 2002 წელს გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტმა შემოიღო ევროპული ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, მათ შორის კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემა TEMPUS-TACIS -ის პროექტის ფარგლებში და დააარსა ხარისხის უზრუნველყოფის ცენტრი. 2005 წელს ცენტრს შეეცვალა სახელი და დაერქვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ცენტრის მმართველი ორგანოა აკადემიური ხარისხის მენეჯმენტის კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი. ხარისხის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობა სკოლებში ევალება დეკანს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორები სკოლების დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობების განსახორციელებლად. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ჰყავს ექსპერტები, რომლებიც შეირჩევა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან, რაც განიხილება როგორც დამატებითი აკადემიური პასუხისმგებლობა/ფუნქცია. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების თანახმად, ხარისხის უზრუნველყოფა მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: 1) საგანმანათლებლო პროგრამის შესწავლას, განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით; 2) აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, მათ შორის პედაგოგიურ და ზოგად უნარებს; 3) საგანმანათლებლო და სამეცნიერო აქტივობების ანალიზს, შეფასებას და რეკომენდაციების შემუშავებას; 4) სტუდენტთა დახმარების ანალიზი და შეფასება; 5) ორგანიზაციულ- მეთოდოლოგიური მუშაობა. ამჟამად, ცენტრის ძირითადი მიზანია აკადემიური სტანდარტების შემუშავება, მისი რეალიზაციის პროცესის მონიტორინგი. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტთა აკადემიურ პროგრესს, აკადემიური პროგრამის შეფასებას, ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის პროფესიული დონის შეფასებას, მათი პერსონალური განვითარების გეგმის შესაბამისად. გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ზემოაღნიშნული ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტის მოთხოვნები შესაბამისობაშია არსებულ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების სტანდარტებთან. პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური პერსონალი, ისევე, როგორც მოწვეული პერსონალი თანამშრომლობენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვისას, კვლევითი ინსტრუმენტების შექმნისას და კვლევის ანალიზის შეფასებისას. ამგვარად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შემუშავებისას უნივეერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის პერსონალთან ერთად მუშაობს პროგრამის სუსტი მხარეების გამოსავლენად და შეფასების შედეგების შესაბამისად ანხორციელებს მის გაუმჯობესებას. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე" ციკლზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;* ○ *თვითშეფასების ანგარიში* ○ *პროგრამასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი* ○ *ინტერვიუ უსდ-ს ადმინისტრაციასთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან*
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს შეფასებაში გარე და შიდა აქტორების მონაწილეობას, მათ შორის როგორც კურსების, ისე პროგრამის შეფასებაში, შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესებასა და უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნების განხორციელებაში, პროგრამიოს განხორციელების ხარისხის შეფასება ხორციელდება პროგრამის სტატისტიკური მონაცემების, აკადემიური შედეგების, სტუდენტთა კვლევის შედეგების საფუძველზე, ისევე, როგორც ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის რჩევების გათვალისწინებით. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ოპერირებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კომიტეტის ინსტიტუტით, რომელიც მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობაში. მიუხედავად ამისა, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებამ აჩვენა მისი სუსტი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში. შიდა ხარისხის სისტემატური კვლევა/შეფასება გამოიყენება პროგრამების (სწავლისა და სწავლების), მკვლევარების, მომსახურებების და რესურსების შეფასებისათვის. მიუხედავად ამისა, შიდა ხარისხის შეფასების კონცეფციას, მექანიზმსა და ინსტრუმენტებს არ გააჩნია სტრუქტურა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ *გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტები* ○ *ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;* ○ *აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასების შედეგები.* ○ *კურსის შეფასების კვლევის შედეგები* ○ *პროგრამით შეფასების კვლევის შედეგები* ○ *ინტერვიუს შედეგები ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელთან,*

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: ○ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის, მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შემდგომი განვითარება პროგრამის მუდმივი გაუმობესებისათვის. კერძოდ, უნდა განისაზღვროს, თუ რა სახის კვლევები უნდა ჩატარდეს, რა კვლევის მეთოდები იქნეს გამოყენებული, რა პერიოდულობით და ა.შ. ○ რეკომენდებულია, რომ გაუმჯობესდეს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების ჩართულობა სასწავლო პროგრამის მიმოხილვაში მისი გაუმჯობესების მიზნით. სასწავლო პროგრამაში დამსაქმებელთა რეალური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით სასურველია განხორციელდეს პრო-აქტიური მიდგომა სოციალური პარტნიორების საგნობრივი ინტერესების სფეროების განსასაზღვრად და სამაგისტრო პროგრამის ბოლო ეტაპზე სავარაუდო საუკეთესო კანდიდატთა მოზიდვის პროცესის დასაწყებად. ეს დააინტერესებს მაგისტრანტებს საგნების იმ თემებით, რომლებიც აინტერესებთ სოციალურ პარტნიორებს და გამოიწვევს სასწავლო თემებს სადოქტორო დონეზე შემდგომი კვლევის აქტუალიზაციას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

დასკვნის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს		☒		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პანდელის იპსილანდისი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ნინო ზარნაძე 

ნინო დგვეფაძე

ოთარ ქირია